

შეტყობინება მექვსე

ღმერთთან ერთობის პრინციპი ნაჩვენები იერემია წინასწარმეტყველის წგნში

ადგილები წერილიდან: დაბ. 2:8-9; 16-17; იერ. 2:13; 15:16, 19;
23:5-6; 31:31-34; 40:5-6, 13-14

- I. ღმერთის სურვილი, რომ იყოს ერთი ადამიანთან და რომ ადამიანი იყოს ერთი მასთან, შეიძლება დავინახოთ ღმერთსა და ადამიანს შორის შესაბამისობაში მათ სახებებსა და მსგავსებებში:
- ღმერთის ქმნილებაში არ ყოფილა „ადამიანური მოდგმა“, შექმნილი ღმერთის მიერ თავის ქმნილებაში; ის, რაც შექმნა ღმერთმა, იყო ღმერთის მოდგმად, ანუ ღმერთის მოდგმა; ღმერთმა შექმნა ადამიანი სიცოცხლის სუნთქვის მეშვეობით, და ეს სუნთქვა გახდა სული, რათა ადამიანი შეხებოდა ღმერთს და მიედო ის – დაბ. 1:24-26; 2:7.
 - დაბადების 18:2-13-ში აპრაამს მოევლინა სამი ადამიანი; ერთი მათ შორის იყო ქრისტე, იეჰოვა, ხოლო ორი სხვა იყვნენ ანგელოზები (19:1); ეს აღნიშნავს, რომ ორი ათასი წლით ადრე თავის განკაცებამდე ღმერთმა, როდესაც მოინახულა თავისი მეგობარი აპრაამი, მოევლინა მას როგორც ადამიანი – 2 ნეშ. 20:7; ესაია 41:8; იაკ. 2:23.
 - ღმერთის ანგელოზი (ღმერთი, იეჰოვა, ღმერთის ადამიანი –ქრისტე) მოევლინა მანოასს და მის ცოლს ჯერ კიდევ ქრისტეს განკაცებამდე – მსაჯ. 13:3-6, 22-23.
 - დანიელმა იხილა ქრისტეს როგორც მე კაცისას ხედვა ქრისტეს განკაცებამდე; თანახმად დანიელის 7:13-14-სა, დანიელმა დაინახა მე კაცისა, რომელიც მოდიოდა ზეციური ღრუბლებით, და ის მივიდა დღეებით ძველთან – მარადისობის ღმერთთან, – და მე კაცისა წარდგენილ იქნა მის წინაშე; მას მიეცა ხელმწიფება, დიდება და სამეფო, რათა ყველა ხალხს, ტომსა და ენას ემსახურა მისთვის; მისი ხელმწიფება არის მარადიული ხელმწიფება, რომელიც არ გადავა, და მისი სამეფო – სამეფო, რომელიც არ განადგურდება.
 - ადამი იყო წინასახე, წინაგამოსახულება, ქრისტესი – რომ. 5:14.
 - ქრისტე არის სახება უხილავი ღმერთის – კოლ. 1:15.
 - სიტყვა (ღმერთი) გახდა ხორცი (იოანე 1:14), მოვიდა ცოდვის ხორცის მსგავსებაში (რომ. 8:3) და მას არ ჰქონდა ხორცის ცოდვა (2 კორ. 5:21; ებრ. 4:15).
 - ქრისტემ, რომელიც არსებობს ღმერთის ფორმაში, თავის განკაცებაში მიიღო მონის სახე, გახდა ადამიანების მსგავსი და იყო ნაპოვნი თავისი იერსახით როგორც ადამიანი – ფილიპ. 2:6-8.
 - სტეფენემ იხილა გახსნილი ზეცანი და მე კაცისა – ქრისტე – ღმერთის მარჯვნივ (საქმე. 7:56); ეს გვიჩვენებს, რომ თავისი ამაღლების შემდეგ ზეცანში ქრისტე ისევ არის ძე კაცისა (იხ. პიმი 97).

- ქ. მათეს 26:64-ში უფალმა იქსომ თქვა: „იხილავთ ძე კაცისას, ძალის [ღმერთის] მარჯვნივ მჯდომს და მომავალს ზეციურ ღრუბლებზე“; აქედან ჩანს, რომ როდესაც უფალი დაბრუნდება, ის ისევ იქნება ძე კაცისა.
- ლ. რომ. 8:29-ში პავლე ამბობს, რომ ვინც დმერთმა წინასწარიცნო (ჩვენ, მორწმუნები), განუსაზღვრა კიდევაც, რომ ყოფილიყვნენ დამსგავსებულნი მისი ძის სახებას, რათა ის ყოფილიყო პირმშო მრავალ ძმათა შორის; იმის მეშვეობით, რომ ის ადდგა, და გაგვხადა ჩვენ თავისი მრავალი ძმა, ძვენ გავხდით ახალი მოდგმა „დმერთკაცის მოდგმა“.
- მ. მე-2 კორ. 3:18-ში ნათქვამია: „ჩვენ ყველანი ახდილი სახით ვუმზერთ და ავირეკლავთ, როგორც სარკე, უფლის დიდებას, გარდავისახებით იმავე სახებად დიდებიდან დიდებისკენ როგორც უფალი სულისაგან; რომ. 12:2-ში საუბრია იმაზე, რომ ჩვენ გარდავისახებით გონების განახლებით.
- ნ. ფილიპ. 2:15-ში საუბრია იმაზე, რომ ჩვენ ვართ უბიშონი და სუფთანი, ღმერთის შეუბილწავი შვილები ჭირვეულ და უკუდმართ თაობაში, რომელშიც ისე ვანაოებთ, როგორც მნათობნი სამყაროში.
- ო. უფალი იქსო ქრისტე გარდასახავს ჩვენს დამდაბლებულ სხეულს ისე, რომ ჩვენი სხეული დაემსგავსება მისი დიდების სხეულს, თავისი მოქმედებით, რომლითაც მას შეუძლია დაუმორჩილოს ყოველივე თავის თავს – 3:21.
- პ. როცა ქრისტე გამოჩნდება, მისი მსგავსი ვიქნებით მთლიანად, სრულყოფილად და აბსოლუტურად, რადგან ვიხილავთ მას, როგორიც არის – 1 იოანე 3:2ბ.
- რ. ეს ყველაფერი დასრულდება ახალ იერუსალიმში; გამოცხ. 4:3-ში ნათქვამია: „მჯდომი (ღმერთი) შესახედაობით იასპის ქვასა და სარდიონს წააგავს“; ღმერთის იერსახე – ტახტზე მჯდომის – ჰგავს იასპს.
- ს. გამოცხადების 21-ე თავის თანახმად, ახალი იერუსალიმის სინათლე ჰგავს ძვირფას ქვას, ჰგავს იასპის ქვას (მუხ. 11ბ); მისი კედელი აშენებულია იასპისგან და კედლის პირველი საძირკველი ასევე იასპია (მუხ. 18ა, 19):
1. საბოლოოდ ღმერთსა და ადამიანს, ადამიანსა და ღმერთს აქვს იასპის იერსახე; ამგვარად, დასკვნა და დასრულება ბიბლიისა არის ახალი იერუსალიმი – ღვთაებრიობა, შერწყმული ადამიანობასთან; ღვთაებრიობა ხდება საცხოვრებელი ადამიანობის, ხოლო ადამიანობა ხდება სახლი ღვთაებრიობის.
 2. ამ ქალაქში ღმერთის დიდება გამოვლენილია ადამიანში თავის ნათებასა და ბრწყინვალებაში; ახლა ჩვენ ვმყოფებით გაღმერთების პროცესში, რათა გავხდეთ ახალი იერუსალიმი და გვქონდეს იგივე იერსახე, რაც ღმერთს, – იასპი – მუხ. 11, 23.
 3. ამ საუკუნის ბოლოს ჩვენ, ვასწავლით და ვქადაგებთ ჭეშმარიტებას, რომ ღმერთი გახდა ადამიანი, რათა გახადოს ადამიანი ღმერთი, ისეთივე, როგორიც არის თვითონ, სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში; ამ ჭეშმარიტების მოსმენა არის დიდი კურთხევა.
 4. საბოლოოდ ღმერკაცები იქნებიან გამარჯვებულები, ისინი, ვინც იმარჯვებენ, სიონი იერუსალიმის შიგნით; როდესაც ჩვენ გვექნება

ღმერთკაცის ცხოვრება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ყველა წვრილმანში, ეს მოიტანს ახალ გამოცოცხლებას, რომლის მსგავსიც ჯერ კიდევ არ ყოფილა ისტორიაში, და ეს დაასრულებს დღევანდელ საუკუნეს – წაიკითხეთ ფსალ. 48:2 და შენიშვნა 1.

- II. იერემია წინასწარმეტყველის წიგნში ნაჩვენებია ღმერთთან ერთობის პრინციპი:
- ა. ღმერთთან ერთობის პრინციპი, რომელიც არის სიცოცხლის ხის პრინციპი, არის კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის პრინციპის წინააღმდეგ, და ის ნაჩვენებია იერემიას 2:13-ში, სადაც იხსნება ღმერთის ხალხის ორი ძირითადი ცოდვა:
1. პრველი ცოდვა იყო ის, რომ მათ მიატოვეს იქპოვა, როგორც სათავე, დასაწყისი ცოცხალი წყლების; მეორე ცოდვა იყო ის, რომ მათ ამოთხარეს გატეხლი ჭები, რომლებიც არ იაკვებდნენ წყალს.
 2. პრინციპი ბიბლიაში არის ის, რომ ღმერთს არ უნდა, რომ მისმა ამორჩეულმა ადამიანებმა მიიღონ რაღაც თვითონ ღმერთის გარდა როგორც თავიანთი სათავე; როდესაც მოათავსა ადამიანი სიცოცხლის ხის წინ, რომელიც აღნიშნავს ღმერთს როგორც სიცოცხლეს, ღმერთმა ამის მეშვეობით აღნიშნა, რაც მას უნდოდა, რომ ადამიანი ზირქონდა სიცოცხლის ხეს, და არა რაღაც სხვას; სიცოცხლის ხესთან მოზიარეობა ნიშნავს ღმერთის როგორც ჩვენი ერადერთი სათავის, როგორც ჩვენთვის ყველაფრის სათავის მიღებას – დაბ. 2:8-9.
 3. მეორე ცოდვა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ღმერთის ხალხი დაიმედებული იყო არა ღმერთზე, არამედ თავის თავზე, მთელი ძალით ცდილობდა წარმოექმნა რაღაც თვითონ თავისი საკუთარი ტკბობისათვის; ცოდვა არის ის, რომ მიატოვო ღმერთი და გააკეთო რაღაც შენით და შენთვის.
 4. ორი ძირითადი ცოდვა გვიჩვენებს სიცოცხლის ხეს, რომელიც აღნიშნავს ღმერთს, და კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხეს, რომელიც აღნიშნავს სატანას (8-9, 16-17); ისრაელის უურადღება გადატანილი იყო სიცოცხლის ხიდან შეცნობის ხისკენ, ცოცხალი წყლების სათავიდან ჭებისაკენ (კერპებისაკენ).
- ბ. ღმერთმა მოათავსა ადამიანი სიცოცხლის ხის წინ, ამის მეშვეობით მიუთითა თავის სურვილზე, რომ ყოფილიყო ერი ადამიანთან, ანუ ყოფილიყო სიცოცხლე, სასიცოცხლო შეწევნა და ყველაფრი ადამიანისათვის – მუხ. 8-9:
1. სიცოცხლის ხე აღნიშნავს ჯვარცმულ (რაზეც მიუთითებს ხე როგორც ხის ნაჭერი – 1 პეტ. 2:24) და აღმდგარი (რაზეც მიუთითებს ღმერთის სიცოცხლე –იოანე 11:25) ქრისტე როგორც განკაცება ღმერთის მთელი სიმდიდრის ჩვენი საკებისათვის.
 2. სიცოცხლის ხის ჭამა, ანუ ქრისტეთი როგორც ჩვენი სასიცოცხლო შეწევნით ტკბობა, – უნდა იყოს უპირველესი საქმე ეკლესიურ ცხოვრებაში; მივიღოთ ქრისტე, მისი ჭამის მეშვეობით – ნიშნავს

ორგანულად და მეტაბოლურად შევითვისოთ ის ჩვენს არსებაში, რათა ის შეგვერწყას ჩვენ – გამოცხ. 2:7; იოანე 6:57, 63:

- ა) სიტყვები, რომლებსაც ამბობს უფალი, – არის სული და სიცოცხლე; ეს გვიჩვენებს, რომ უფლის მიერ წარმოთქმული სიტყვები არის სიცოცხლის სულის განსხვაულება – მუხ. 63:
 - 1) ახლა ის არის მაცოცხლებელი სული აღდგომაში (1 კორ. 15:45ბ), და სული განკაცებულია მის სიტყვებში.
 - 2) როდესაც ჩვენ ვდებულობთ მის სიტყვებს ყოველგვარი ლოცვითა და ვედრებით (ეფეს. 6:17-18), ჩვენი სულის ვარჯიშით, ჩვენ ვდებულობთ სულს, რომელიც არის სიცოცხლე.
- ბ) ვჭამოთ ქრისტე – ნიშნავს ვჭამოთ მისი სიტყვები, მივიღოთ მისი სიტყვები, რომლებიც არის სიცოცხლის სულის განსხვაულ ება, ჩვენი სულის ვარჯიშით – იერ. 15:16; ეფეს. 6:17-18; 1 პეტ. 2:2; ებრ. 5:13-14; ეზეკ. 3:1-4.

III. იმისათვის, რომ ავიღოთ, მივიღოთ, და დავიცვათ დმერთის სიტყვა, ჩვენ მთლიანად ერთი უნდა ვიყოთ დმერთან:

- ა. გედალიაპუს შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ადამიანს, რომელიც არ იყო ერთი დმერთან; მიუხედავად იმისა, რომ გედალიაპუ ერთგულად ზრუნავდა იერემიაზე, დმერთის წინასწარმეტყველზე, ის არ ეძებდა უფლის სიტყვას, რადგან მას არ ჰქონდა ასეთი ჩვევა – იერ. 40:5-6, 13-14:
 1. გედალიაპუ არ დებულობდა დმერთს როგორც თავის სათავეს, რათა ყოფილიყო ერთი მასთან და მიეღო ყველაფერი, რაც გამოდიოდა დმერთიდან; ის რომ ყოფილიყო ადამიანი, რომელიც ერთი იყო დმერთან, ის პირველ რიგში მიიღებდა სიტყვას დმერთისაგან.
 2. იმისათვის, რომ ავიღოთ, მივიღოთ და დავიცვათ დმერთის სიტყვა როგორც მისი აზრის, მისი ნების, მისი გულისა და მისი სიამოვნების სურვილის გამოხატულება, ჩვენ მთლიანად ერთი უნდა ვიყოთ დმერთან – ჩვენ უნდა ვიყოთ დაიმედებული დმერთზე, დაგეყრდნოთ დმერთს და არ გვქონდეს არავითარი მოსაზრება, გამომდინარე ჩვენი „მედან“ – შდრ. 2 კორ. 1:8-9 და მუხ. 12, შენ. 2.
 3. ბიბლიის, განსაკუთრებით ახალი აღთქმის პრინციპი, არის ის, რომ დმერთი გვიხსნის ჩვენ თავის თავს, რათა ჩვენ შევიდეთ მასში, მივიღოთ ის და გავხდეთ ერთი მასთან; მაშინ ის იქნება ჩვენში, და ჩვენ ვიქნებით მასში, მივიღებთ მას როგორც ყველაფერს ჩვენთვის – იოანე 15:4-5; 1 იოანე 2:28; 3:24.
 4. პირველი, რასაც ჩვენ მივიღებთ, – არის დმერთის სიტყვა, რათა გამოვხატოთ მისი აზრი, მისი ნება, მისი გულის სურვილი და მისი სიამოვნება; ჩვენ ადარ დაგვაინტერესებს ჩვენი მოსაზრებები ან ის, რასაც უპირატესობას ვანიჭებთ; ასე ჩვენ ვხდებით მისი ბაგე, რათა ველაპარაკოთ დმერთი სხვა ადამიანებს მათი შეწევნისათვის – იერ. 1:6-9.

- ბ. უფალმა უთხრა იერემიას: „თუ ძვირფასს გამოარჩევ უვარგისისგან, ჩემი ბაგე იქნები“ – 15:19; 23:39, შდრ. მუხ. 16:
1. ჩვენ გვჭირდება, რომ ჩვენი გულის თვალები გაბრწყინდეს და ჩვენ დავინახოთ აღმატებულება, უპირატესობა, შეუდარებელი ღირსება ქრისტესი როგორც ძვირფასეულობისა მისი მორწმუნებისათვის, რათა მოვიპოვოთ ქრისტე, ჩავთვალოთ დანაკარგად ყველაფერი მის გარდა – ფილიპ. 3:7-8; 1 პეტ. 2:7, შდრ. მუხ. 4, 6.
 2. ჩვენ უნდა დავაფასოთ უფლის სიტყვები უფრო მეტად, ვიდრე ჩვენთვის დანიშნული საკვები, ვიგემოთ უფალი მის სიტყვაში როგორც სინამდვილე კეთილი მიწის, სადაც მოედინება მკვებავი რძე და ახალი თაფლი, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია დავურიგოთ დმერთის ხალხს მათი სრული გადარჩენისათვის – იობი 23:12; 1 პეტ. 2:2-5; ფსალ. 119:103; რჯლ. 8:8; ქებ. ქ. 4:11ა.
 3. ჩვენ უნდა დავაფასოთ უფლის სიტყვები უფრო მეტად, ვიდრე მთელი მიწიერი სიმდიდრე, რათა ვილაპარაკოთ დმერთის სიტყვები (დმერთის გამონათქვამები, დმერთის მიერ წარმოთქული, რომლებიც გადმოსცემენ დვთაებრივ გამოცხადებას) და ამის მეშვეობით დავურიგოთ ქრისტეს აურაცხელი სიმდიდრე როგორც დმერთის სხვადასხვა სახის მადლი ყველა წმიდანს – ფსალ. 119:72, 9-16; ეფეს. 3:8; 2 კორ. 6:10; 1 პეტ. 4:10-11.
- IV. დაფარული მიზეზი ისრაელის შეცდომებისა და მარცხისა იყო ის, რომ მათ დაკარგეს დმერთის თანდასწრება და აღარ იყვნენ ერთი დმერთოან (შდრ. იესო 6. 7:3-4; 9:14); ჩვენ უნდა ვიყოთ ყოველთვის ერთი ჩვენს დმერთოან, რომელიც არა მარტო ჩვენ შორის არის, არამედ ჩვენშიც და რომელიც გვხდის ჩვენ ადამიანებად დმერთკაცებად:**
- ა. ჩვენ დმერთკაცები უნდა ვიყოთ პრაქტიკულად ერთი უფალთნ, ვიაროთ მასთან ერთად, ვიცხოვროთ მასთან ერთად და მთელი ჩვენი არსებით ვიმყოფებოდეთ მასთან (რომ. 8:4; 2 კორ. 2:10; გალ. 5:16, 25); სწორედ ასე ჩვენ დავდივართ როგორც ქრისტიანები, ვიბრძვით როგორც დმერთის შვილები და ვაშენებთ ქრისტეს სხეულს; თუ ჩვენ გვაქვს უფლის თანდასწრება, იმასთან ერთად, რომ ჩვენ ვართ ერთი მასთან, ჩვენ გვაქვს სიბრძნე, გამჭრიახობა, წინასწარ განჭვრება და შინაგანი ცოდნა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით; უფლის თანდასწრება – ეს არის ყველაფერი ჩვენთვის.
 - ბ. სიჯიუტე ისრაელის შვილების, რომლებიც სცოდავდნენ დმერთის წინააღმდეგ, გამოწვეული იყო იმით, რომ ისინი არ იყვნენ ერთი დმერთოან (იერ. 42:1-43:2); ისინი რომ ერთი ყოფილიყვნენ დმერთოან, მიიღებდნენ დმერთის სიტყვას და გაიგებდნენ მის გულს, მის ბუნებას, მის გონებას და მის ჩანაფიქრს; გარდა ამისა, ისინი ბუნებრივად იცხოვრებდნენ მას და შედგებოდნენ მისით, რათა გამხდარიყვნენ მისი მოწმობა დედამიწაზე.
 - გ. ის, ვინც არ არის ერთი დმერთოან, არ დებულობს მის ნებასა და სიხარულს, არამედ გამოხატავს თავის მოსაზრებებს და მიჰყვება იმას,

რასაც ანიჭებს უპირატესობას; ამის მეშვეობით ისინი ტოვებენ დმერთს როგორც ცოცხალი წყლების დასაწყისს, სათავეს, და თხრიან თავისთვის დამსხვრეულ ჭებს, რომლებიც არ იკავებენ წყალს – 2:13.

- V. იმისათვის, რომ გიყოთ ერთი ლმერთთან, ჩვენ გვჭირდება ქრისტე როგორც დავითის ამონაყარი ჩვენი გამოსყიდვისა და გამართლების სახით; ამას მოჰყავს სამერთიანი ღმერთი ჩვენში, რათა ის გახდეს ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სიცოცხლის შინაგანი კანონი, ჩვენი შესაძლებლობა და ყველაფერი ჩვენთვის, რომ დაარიგოს თავისი თავი ჩვენს არსებაში თავისი სახლმშენებლობის განხორციელებისათვის; ეს არის ახალი აღთქმა (31:33); სბოლოოდ ჩვენ გვეცოდინება ღმერთი, ვიცხოვრებთ ღმერთს და გავხდებით ღმერთი სიცოცხლითა და ბუნებით. მაგრამ არა დვთაებაში, რათა გავხდეთ მისი ერთობლივი გამოხატულება ახალი იერუსალიმის სახით – 23:5-6; 31:31-34; გამოცხ. 21:2.